ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4497451

ნომერი: AR1670252

თარიღი : 23.03.2019

გაცემის თარიღი : 13.05.2019

გაცნობის თარიღი : 13.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34ა , მიმდებარედ.; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N34ა -ს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N34-ის მიმდებარედ (ს/კ 01.14.03.042.210)-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ადუაშვილი პ/ნ 01013030667
- ვარკეთილის 3, მე-4 მრ, კორპ 410, ბ 22

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია ავტოსადგომის მოწყობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #34-ის მიმდებარედ, შპს „ ევროპული სკოლა“-ს ს/კ (01.14.03.042.251),(01.14.03.042.258)(01.14.03.042.100) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღია ავტოსადგომისთვის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „ რიწა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.03.042.100, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882008300395 15/10/2008წ., საკადასტრო კოდი N 01.14.03.042.251, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 902018035160 27/11/2018 წ. საკადასტრო კოდი N 01.14.03.042.258, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882019204785 25/03/2019 წ. ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი, მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ვაკე, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი #34-ის მიმდებარედ, შპს „ ევროპული სკოლა“-ს ს/კ (01.14.03.042.251),(01.14.03.042.258)(01.14.03.042.100) კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ღია ავტოსადგომისთვის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge